პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

ქალაქი ბათუმი ____ ოქტომბერი, 2024 წ.

ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქ.N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.26.02.133) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქ.N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ05.26.02.133) დამტკიცდეს განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია, თანახმად დანართისა.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე: ქალაქ ბათუმში, პეტრე ბაგრატიონის ქ.N127გ-ში (ს/კ 05.26.02.133) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის (ღირებულების) სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

3. განემარტოს შპს „ავენიუ ბაი ორბი“-ს“ (ს/N445488749), რომ იგი ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის ეტაპზე (მეორე ეტაპი) საპროექტო ობიექტის სიმაღლე შეათანხმოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან“.

4. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ **ირაკლი თავდგირიძე**

განმარტებითი ბარათი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის ქ. N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ05.26.02.133“ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

განმცხადებელი: შპს „ავენიუ ბაი ორბი'' (ს/N445488749)

შპს „ავენიუ ბაი ორბი'' - მოთხოვნილია კონცეფციის დამტკიცება ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.26.02.133; გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა 12,1-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ობიექტის შიგა სივრცეში მოეწყოს დახურული მიწისქვეშა 225 ავტოსადგომი, ხოლო მიწისზევით მოეწყობა 324 ავტოსადგომი, მათ შორის მექანიზირებული ავტოსადგომები. სულ ავტოსადგომების რაოდენობა შეადგენს 549 ერთეულს. სართულიანობა 36 სართული, არსებულზე 4 სართულის დამატება.

შპს „ავენიუ ბაი ორბი'' (ს/445488749), ვალდებულია განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის (მეორე ეტაპი) ეტაპზე საპროექტო ობიექტის სიმაღლე შეათანხმოს სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე - პ. ბაგრატიონის ქ. N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.26.02.133 დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, პ. ბაგრატიონის ქ. N127გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 05.26.02.133 განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკრგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი **გიორგი წანაწყენიშვილი**